საქმიანობის ბიულეტენი

აპრილი

2024



საქმიანობის ბიულეტენი

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

შინაარსი:

NO.2

გვერდი 3

პლენარული სხდომები

გვერდი 5

ბიუროს სხდომები

გვერდი 7

კომიტეტის სხდომები

გვერდი 11

სხვა აქტივობები

გვერდი 22

საერთაშორისო ურთიერთობები

პლენარული სხდომა

აპრილი,2024

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

აჭარის უმაღლეს საბჭოში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს - ჯაბა ფუტკარაძეს მოუსმინეს

18 აპრილი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, „მინისტრის საათის“ ფორმატში, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს მოუსმინეს - ჯაბა ფუტკარაძე სამინისტროს საქმიანობის შესახებ ვრცელი მოხსენებით წარსდგა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, გაკეთდა პოლიტიკური განცხადებები.

„2023 წელი წარმატებული იყო ჩვენი რეგიონისთვის, რაც შესაბამის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე აისახა,“ - განაცხადა ჯაბა ფუტკარაძემ. მისი განმარტებით, საანგარიშო წელი გამორჩეული იყო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, ასევე ტურიზმისა და სხვა სფეროებისთვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიზნესინდიკატორების მაჩვენებლები, რამაც დასაქმების 8 %-იანი ზრდა განაპირობა. მომხსენებლის განცხადებით, გასული წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა 100,1 %-ით შესრულდა, ამასთან, წარმატებით სრულდება მიმდინარე წლის ანალოგიური მაჩვენებლებიც.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების წარდგენის შემდეგ, მომხსენებელმა ისაუბრა რეგიონში განხორციელებულ, მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროექტებზე და უპასუხა კანონმდებელთა კითხვებს. გამოსვლების შემდეგ, ანგარიში ცნობად მიიღეს.

სხდომაზე მოისმინეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების ანგარიშები 2023 წლის საქმიანობის შესახებ. ამავე კომიტეტების თავმჯდომარეების - ცოტნე ანანიძის, მარინე გვიანიძისა და ილია ვერძაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენებები კანონმდებლებმა ცნობად მიიღეს.

ბიუროს სხდომა

აპრილი,2024

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ბიუროს სხდომა

18 აპრილი, 2024 წელი

უმაღლეს საბჭოში აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის პროცედურები იწყება. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა. საკითხი საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა. განისაზღვრა საკომიტეტო განხილვების გრაფიკი და ვადები.

ბიურომ პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

განხილვის პროცედურები იწყება პეტიციაზე - "უსინათლო ან/და მცირედ მხედველი ადამიანების უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნის თაობაზე“ (ავტორი: ინგა მოსიძე), რომელიც ბიურო წევრებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ გააცნო.
 სხდომაზე განისაზღვრა 18 აპრილის მორიგი პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

კომიტეტის სხდომა

აპრილი,2024

აჭარის სუპერნომიერი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

2 აპრილი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი განიხილეს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა.

პროექტი კომიტეტის წევრებს უმაღლესი საბჭოს წევრმა - დავით გაბაიძემ წარუდგინა. მისი განცხადებით, ცვლილებების ნაწილი მიზნად ისახავს რეგლამენტის ცალკეული ნორმების დახვეწასა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობასთან, პარლამენტის რეგლამენტთან ჰარმონიზაციას.

გარდა აღნიშნულისა, პროექტი ითვალისწინებს ახალი ჯილდოების დაწესებას, რომლებიც გადაეცემათ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუციის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და თავად საკანონმდებლო ორგანოს აპარატის თანამშრომლებს მათი ნამსახურობის, პროფესიონალიზმისა და გამოცდილების პატივისცემის ნიშნად.

კომიტეტმა რეგლამენტის პროექტი პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

5 აპრილი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძისა და ლადო მგალობლიშვილის მიერ ინიცირებული რეგლამენტის პროექტი განიხილეს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე.

მომხსენებლის - დავით გაბაიძის განცხადებით, ცვლილებების ნაწილი ცალკეული ნორმების დახვეწას, საქართველოს შესაბამის კანონმდებლობასთან და პარლამენტის რეგლამენტთან ჰარმონიზაციას ითვალისწინებს.

ამავე პროექტის თანახმად, დაწესდება ახალი ჯილდოები, რომლებიც უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციურ განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცემათ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ასევე საკანონმდებლო ორგანოს აპარატის თანამშრომლებს მათი ნამსახურობის, პროფესიონალიზმისა და გამოცდილების პატივისცემის აღსანიშნავად.

სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს რეგლამენტის პროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

19 აპრილი, 2024 წელი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - ილია ვერძაძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი განიხილეს.

პეტიცია - ,,უსინათლო ან/და მცირედ მხედველი ადამიანების უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნა“, ავტორებმა - სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბ „თემიდას“ წევრებმა წარმოადგინეს. კლუბის ხელმძღვანელის, პედაგოგ ინგა მოსიძის განცხადებით, ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგებზე დაყრდნობითაც მომზადდა პეტიცია. პროექტი მოიცავს, როგორც საინფორმაციო კამპანიას, ისე მონიტორინგს.

კითხვა-პასუხის შემდეგ, კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხზე რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას.

უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტები იწყებენ თემატურ მოკვლევას - „ადრეული ქორწინება დ მისი უკუშედეგები“. ილია ვერძაძის განცხადებით, ინიციატივა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტს ეკუთვნის, ძალზე მნიშვნელოვან თემას ეხება და ჯერ კიდევ არსებული გამოწვევების დაძლევას ისახავს მიზნად.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა საკითხზე რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

აპრილი, 2024

აჭარის სუპერნომენტალი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ცოტნე ანანიძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობას შეხვდა

1 აპრილი, 2024 წელი

ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატი აჭარის უმაღლეს საბჭოში - ცოტნე ანანიძე, მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდა.

უმაღლესი საბჭოს წევრის განცხადებით, პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები, სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, ქობულეთშიც დაიწყო.

„ადგილობრივები, ძირითადად, შიდა სასოფლო გზების ბეტონირებას, გარე განათებების მოწყობას, გაზიფიცირებასა და სასმელი წყლის მილების შეძენას ითხოვენ. აღნიშნული პროგრამა კი, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით პრიორიტეტების სწორად დაგეგმვის საუკეთესო საშუალებაა," - აცხადებს ცოტნე ანანიძე.

2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის 846 000 ლარია გამოყოფილი.

2 აპრილი აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა

2 აპრილი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ილია ვერძაძე, უმაღლესი საბჭოს წევრი - ფატი ხალვაში, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ირმა ხვიჩიას სარეაბილიტაციო ცენტრს ეწვივნენ და პატარა ბენეფიციარებს მათ საჭიროებებზე მორგებული სპეციალური ნივთები გადასცეს.

„აუტიზმი მსოფლიოსთვის კიდევ ერთი გამოწვევაა. ამ დღის მიზანი, აუტიზმთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერების გაზრდა, აუტიზმის მქონე ადამიანების უფლებების დაცვა და მათი უნარების რეალიზაციის ხელშეწყობაა,“- აღნიშნა ილია ვერძაძემ.

ღონისძიებაზე, რომელსაც აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - ზურაბ თენიეშვილი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი - რუსუდან შავიშვილი, ცენტრის აღსაზრდელები, მშობლები და მედიკოსები ესწრებოდნენ, ყურადღება გამახვილდა აუტისტური სპექტრის მქონეთათვის სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის საკითხებზე. ღონისძიების მონაწილეებმა ერთ-ერთ ბენეფიციარს ცენტრში დასაქმება მიულოცეს და გაწეული საქმიანობისთვის მედიკოსებს მადლობა გადაუხადეს.

ცენტრი ბენეფიციარებს, სხვადასხვა სამედიცინო სერვისთან ერთად, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ქალაქ ბათუმის მერიის შესაბამისი ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ მკურნალობის კურსს სთავაზობს.

35 წელი... 9 აპრილიდან

9 აპრილი, 2024 წელი

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებიდან 35 წლისთავზე, ქვეყნის თავისუფლებისთვის გმირულად დაღუპულები გაიხსენეს ბათუმში - აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა, ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების, სტუდენტი-ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა გმირთა ხეივანში, ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გმირების ხსოვნას.

35 წლის წინ განვითარებული ტრაგიკული მოვლენებით, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა. 9 აპრილს დაღუპული 21 ადამიანის თავგანწირვას უშედეგოდ არ ჩაუვლია, 1991 წლის 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოცხადდა.

9 აპრილის გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართა.

რამადან ბაირამი

10 აპრილი, 2024 წელი

ბათუმის ორთაჯამეში შეკრებილ მუსლიმ მორწმუნეებს რამადან ბაირამი მიულოცეს აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეებმა - დავით გაბაიძემ, თორნიკე რიჟვაძემ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არაშიძემ და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა. მორწმუნეებს მშვიდობა, კეთილდღეობა და წარმატებები უსურვეს.

ტრადიციული ლოცვა შესრულდა აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის მეჩეთებში. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მორწმუნეებს საღვთო დღესასწაული მიულოცეს.

რამადან ბაირამი, (იგივე: რამაზან ბაირამი, ფითირ ბაირამი, ურაზა ბაირამი, ქუჩუკ ბაირამი, შექერ ბაირამი), მუსლიმური კალენდრით, მეცხრე თვეა და, როგორც წესი, 30-დღიანი მარხვის დასრულების შემდეგ აღინიშნება. ამ დღეს მორწმუნეები ეხმარებიან შეჭირვებულებს, საფლავებზე გადიან და ტკბილეული გააქვთ.

ფრიდონ ფუტკარაძე დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო

14 აპრილი, 2024 წელი

მაღალმთიანი აჭარისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარი დეპუტატი უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტში, სხალთის შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმში, დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

უმაღლესი საბჭოს წევრმა შეხვედრის მონაწილეებს დედაენის დღე მიულოცა, გაიხსენა 1978 წლის ცნობილი მოვლენები, ისაუბრა ქართული ენის უნიკალურობასა და მისი დაცვის მნიშვნელობაზე.

ღონისძიებაში ხულოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და კულტურის ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

სამუშაო შეხვედრა თემატური მოკვლევის საკითხებზე

15 აპრილი, 2024 წელი

„თემატური მომხსენებლის როლი: საერთაშორისო პრაქტიკა, საქართველოს პარლამენტის გამოცდილება და შესაძლებლობები აჭარის უმაღლესი საბჭოსთვის“ - საკანონმდებლო ორგანოს წევრებისთვის სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიება გახსნეს და თემატური მოკვლევის მნიშვნელობაზე ისაუბრეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელმა - ირინე ურუშაძემ.

ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო გამოცდილებაზე, საქართველოს პარლამენტში თემატური მომხსენებლის როლზე, სამოქმედო გეგმასა და კომიტეტების აპარატების მუშაობის სპეციფიკაზე.
შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ამ მიმართულებით უმაღლესი საბჭოს შესაძლებლობებსა და ორგანიზაციულ საკითხებზე, ასევე თემატური მომხსენებლის განსაზღვრისა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვაზე.
სამუშაო შეხვედრას, რომელიც ევროკავშირისა და UNDP-ის ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით გაიმართა, ამავე პროექტის კონსულტანტი - კახა ურიადმყოფელი უძღვებოდა.

არქეოლოგიური კონფერენცია

18 აპრილი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - ზაურ ახვლედიანი, ხელისუფლებისა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ კონფერენციაში მონაწილეობდნენ.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომელიც ცნობილი არქეოლოგების - ამირან კახიძისა და შოთა მამულაძის ხსოვნას მიეძღვნა, სააგენტოს ხელმძღვანელმა - ზაურ ახვლედიანმა გახსნა. კონფერენციის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ძეგლთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობაზე, კიდევ ერთხელ გაიხსენეს აწ გარდაცვლილი ცნობილი მეცნიერები და მათი წვლილი ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში.

კონფერენციაზე, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მკვლევრები მონაწილეობდნენ, წარმოდგენილი იყო მოხსენებები საქართველოს არქეოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, ქვის ხანიდან შუასაუკუნეებამდე პერიოდის თემატიკასა და ბოლო დროის კვლევებზე, შესწავლილ ძეგლებზე.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ბათუმში

25 აპრილი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე და უმაღლესი საბჭოს წევრები, ბათუმში, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვას დაესწრნენ.

„მედიაცია ბიზნესისთვის“ - ბათუმმა მესამე ყოველწლიურ ფორუმს უმასპინძლა

26 აპრილი, 2024 წელი

„მედიაცია, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მედიატორებისთვის, ბიზნესისთვის, სასამართლო ხელისუფლებისა და დავის მონაწილეებისთვის, არამედ საზოგადოებისთვის, რათა შევძლოთ და ვისწავლოთ ერთმანეთთან კონსტრუქციული საუბარი“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დავით გაბაიძემ ბათუმში, „მედიაცია ბიზნესისთვის“ მესამე ყოველწლიური ფორუმის გახსნისას.

ფორუმის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, მოდერატორი - ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის მოადგილე ნინო კვეტენაძე, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი გიორგი ჩხეიძე და სხვები.

ფორუმი, რომელიც ორ პანელად წარიმართა, ბიზნესთან თანამშრომლობასა და ხელშეწყობაში მედიაციის როლს, მედიაციის გზით დავების გადაწყვეტის დადებითი მხარეების, ბიზნესისთვის მედიაციის გამოყენების სამართლებრივ პერსპექტივასა და ჩარჩოს განხილვას დაეთმო. ღონისძიება საქართველოს ბიზნესომბუდსმენის, USAID-ის, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მხარდაჭერით გაიმართა და მას ადგილობრივთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესწრეების, მედიაციის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბათუმობა - 2024

27 აპრილი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე და უმაღლესი საბჭოს წევრები, ბათუმში, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვას დაესწრნენ.

საერთაშორისო ურთიერთობები

აპრილი,2024

აჭარის სუპერნომიერი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

აჭარის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება

4 აპრილი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - ზაურ ახვლედიანი, დელეგაციასთან ერთად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებიან.

4 აპრილს, დელეგაციას, პეკინში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა - პაატა კალანდაძემ უმასპინძლა. შეხვედრას, რომელზეც ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე, ესწრებოდა პეკინის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოში ჩაის კულტურის დამაარსებლის, ლაო ჯინ ჯაოს შვილიშვილი - დევიდ ხაო.

ვიზიტის ფარგლებში, თანამედროვე სამუზეუმო ტექნოლოგიების გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, დაგეგმილია შეხვედრები ჩინეთის მუზეუმების ადმინისტრაციების, სამუზეუმო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან.

„ჩვენთვის, როგორც მზარდი ტურისტული რეგიონისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია გავიზიაროთ მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე სხვა ქვეყნების გამოცდილება. ამასთან, ცნობილია, რომ ჩაქვში, ლაო ჯინ ჯაოს ყოფილ საცხოვრებელ სახლში, მისი სახელობის მუზეუმი დაარსდება. ჩინელი სპეციალისტების კონსულტაციები და გამოცდილება ამ მიმართულებით, მნიშვნელოვნად დაგვეხმარება საქართველოში ჩაის კულტურის დამაარსებლის ყოფისა და ეროვნული ტრადიციების რეალური სურათის შექმნაში,“- განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრმა დავით ბაციკაძემ.

თვის სხვა აქტივობები:

- 1989 წლის 9 აპრილი - 9 აპრილი, 2024
- 14 აპრილი დედაენის დღეა - 14 აპრილი, 2024
- ვაშლოვანის ტრაგედიის დღე - 18 აპრილი, 2024
- 1989 წლის 19 აპრილი - 35 წელი წაბლანის ტრაგედიიდან - 19 აპრილი, 2024
- ბზობა - 28 აპრილი, 2024

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge